



კრიპტომატის გამოყენების ინსტრუქცია



სარჩევი

| | |
|--|----|
| კრიპტოვალუტის ყიდვა | 4 |
| კრიპტოვალუტის განაღდება | 8 |
| თანხის გამოტანა სპეციალური კოდის (ე.წ. Redemption Code) გამოყენებით..... | 11 |



CRYPTOMAT

support@cryptomat.ge

+995 322 880 770

კრიპტომატების საშუალებით კრიპტოვალუტების – ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი და ბიტკოინ ქეში ნაღდი ფულით შეძენა და გაყიდვა/განაღდება შესაძლებელია.



დაგვიკავშირდით
ბელარუსის ნომერზე
+995 706 770 527


CRYPTOMAT



დააწირეთ მონიშორს

**იყიდეთ და გაყიდეთ
ბიტკოინი აქ**

გვადლოვთ, რომ სარგებლოვთ ჩვენი კონიპობაბაბით


დახმარება გჭირდებათ?
support@cryptomat.ge
www.cryptomat.ge

ოპერაციის დასაწყებად, პირველ რიგში, შეეხეთ ეკრანს;


კრიპტოვალუტის ყიდვა



კრიპტოვალუტის შესაძენად მთავარი მენიუდან აირჩიეთ ოპერაცია → Buy Coins;



მიუთითეთ რომელი კრიპტოვალუტის შექმნა გსურთ: ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი ან ბიტკოინ ქეში;




აირჩიეთ ➔ Scan Wallet QR Code;

საფულის QR კოდის დასასკანერებლად გახსენით თქვენი ელექტრონული საფულის მობილური აპლიკაცია (მაგ: Blockchain) და აირჩიეთ ბრძანება ➔ Request;



მობილურ აპლიკაციაში გამოჩნდება თქვენი საფულის QR კოდი;


საფულის QR კოდის დასასკანერებლად, სკანერთან ახლოს (დაახლოებით 10-15 სმ-ის დისტანციაზე) მიიტანეთ მობილურ აპლიკაციაში ეკრანზე გამოსახული ბარკოდი და დააფიქსირეთ;



კრიპტომატის თანხის მიმღებში შეიტანეთ ლარის კუპიურები;¹

გაითვალისწინეთ: კრიპტოვალუტის შესაძენად კრიპტომატში შესატანი თანხის მინიმალური ოდენობა 10 ლარია.

დააჭირეთ დასრულებას;



¹ შენიშვნა: ეკრანზე ნაჩვენებია, თუ რა ოდენობის ბიტკოინის, ლაითკოინის, ეთერიუმის ან ბიტკოინ ქეშის შეძენა შეგიძლიათ კრიპტომატში შეტანილი თანხით; აგრეთვე, ეკრანის ზემოთა მარჯვენა კუთხეში მწვანედ გამოსახულია თქვენ მიერ არჩეული კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვის ონლაინ კურსები ლარში.

მიუთითეთ, თუ გსურთ ქვითრის მიღება;

ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდა!


შეძენილი კრიპტოვალუტა მითითებულ მისამართზე დაუყოვნებლივ გაიგზავნება!

რამდენიმე წუთში, მას შემდეგ, რაც თქვენი ტრანზაქცია ბლოკჩეინის ქსელში დადასტურდება (საშუალოდ, 30 წთ-იდან 2 საათამდე პერიოდი) შეძენილი კრიპტოვალუტა თქვენი საფულის ანგარიშზე აისახება.


კრიპტოვალუტის განაღდება

The image is a vertical flowchart on an orange background illustrating the withdrawal process. At the top, a speech bubble contains the text 'დაგვიკავშირდით' (Contact us), 'ბალანსის ნომერი' (Balance number), and the phone number '+995 706 770 527'. Below this is the Cryptomat logo, a blue 'C' with a white Bitcoin symbol inside. Underneath the logo is a Bitcoin icon. The main flowchart is titled 'დააჭირათ მონიშორს' (Select the desired option) and consists of three stacked rectangular boxes: a dark grey box labeled 'Buy Coins', a blue box labeled 'Withdraw Cash', and another dark grey box labeled 'Redeem'. A dashed white line with a Bitcoin symbol on each end separates the 'Buy Coins' and 'Withdraw Cash' boxes. At the bottom of the flowchart, there is a dark orange box with the text 'დასმარება გჭირდებათ?' (Do you need help?), 'support@cryptomat.ge', and 'www.cryptomat.ge'.

თქვენს საფულეზე არსებული კრიპტოვალუტის გასაყიდად/ლარში გასანაღდებად, მთავარი მენიუდან აირჩიეთ ოპერაცია ➔ Withdraw Cash;



მოცემული 4 კრიპტოვალუტიდან: ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი, ბიტკოინ ქეში აირჩიეთ მონეტა, რომლის განაღდებაც გსურთ ლარში;



ევრანზე მოცემულია გასანაღდებელი თანხის რამდენიმე ვარიანტი. მიუთითეთ თქვენთვის სასურველი ოდენობა;

გაითვალისწინეთ: გასანაღდებელი თანხის მინიმალური ოდენობა 50 ლარია.



კრიპტომატის ევრანზე გამოჩნდება ბარკოდი და კრიპტომატის ანგარიშის მისამართი (მწვანედ);


ტრანზაქციის გასაგრძელებლად, გახსენით შესაბამისი მობილური აპლიკაცია (მაგ: Blockchain), სადაც უკვე გაქვთ დარეგისტრირებული საფულე;

მობილურ აპლიკაციაში აირჩიეთ → Send;

ველში „To: Enter bitcoin/litecoin address“ კრიპტომატის ევრანზე მოცემული მისამართის ჩასაწერად, მობილურის საშუალებით (დააჭირეთ ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახული ბარკოდის სიმბოლოს) დაასკანერეთ გამოსახული QR კოდი;

გადაამოწმეთ ველში ჩასმული მისამართის შესაბამისობა კრიპტომატის ევრანზე გამოსახულ მისამართთან;

დაადასტურეთ, რომ აღნიშნული თანხის მითითებულ მისამართზე გაგზავნას ეთანხმებით;



ტრანზაქციის დასრულების შემდეგ, თანხის მიღებამდე², კრიპტომატი დაგიბეჭდავთ ქვითარს რეანიშნა კოდით (ე.წ. Redemption Code);


აიღეთ ქვითარი და მოიცადეთ რამდენიმე წუთი (საშუალოდ, 30 წთ-იდან 2 საათამდე), სანამ თქვენი ტრანზაქცია ბლოკჩეინის ქსელში დადასტურდება.

თანხის გამოტანა სპეციალური კოდის (ე.წ. Redemption Code) გამოყენებით



ბლოკჩეინის ქსელში თქვენი ტრანზაქციის დადასტურდების შემდეგ, კრიპტომატის მთავარ მენიუში აირჩიეთ ბრძანება ➡ Redeem;

² იმისათვის, რომ კრიპომატიდან თანხის გატანა შეძლოთ, ტრანზაქცია ჯერ ბლოკჩეინის ქსელში უნდა დადასტურდეს;



ეკრანზე გამოტანილ ველში შეიყვანეთ ქვითარზე დაბეჭდილი რვანიშნა კოდი (ე.წ. Redemption code);

დააჭირეთ → Finish Withdrawal-ს და დაასრულეთ ოპერაცია;



მიუთითეთ, თუ გსურთ ქვითრის მიღება;

ოპერაცია წარმატებით განხორციელდა! აიღეთ თანხა [და ქვითარი]!